ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

წერილის ნომერი:**31-31210852**
თარიღი: **26/03/2021**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 140-ე მუხლისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 114-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრთა მოთხოვნას დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევასთან დაკავშირებით და განკარგულების პროექტს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე გთხოვთ, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე შეიტანოთ განსახილველად.

დანართი: 2 (ორი) ფურცლად.

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2021 წლის --- მარტი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 139-ე მუხლის „ბ“ ნაწილისა და 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი. შემოწმების პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 140-ე მუხლისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 114-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შეიტანოთ დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევასთან დაკავშირებით საკითხი, მერიის მიერ 2020 წელს განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის, ბიუჯეტის შესრულების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის შეფასების მიზნით.

პატივისცემით,

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]